

# მწევესი

1883-1888

«მწევესი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის ოსუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

### გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მწევესი»	«მწევესი» რუსული გამოცემით
12 თვით . . . . . 5 მან.	12 თვით . . . . . 6 მან.
6 — . . . . . 3 —	6 — . . . . . 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Копиаль, Въ редакцію „Мистеми“ (Пастыр).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბუქდავით, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან სელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

### მობრძანება ხელმოწევა იმპერატორისა და მისი შავგუსტოანის სახლობისა საქართველოში.

მშენებრი და ბენიერი დღე გაუთენდა 24-ს სექტემბერს ახალ-ათონის არე-მარეს ერთობ და ნაეთ-სადგურს ცალკე. ნაეთ-სადგური, მორთული და მოკაზმული, ყვავილებისა და ფოთლის კონასა ჰგენდა. ამ დღეს მეთორმეტე სათხედ ახალ-ათონის ნაეთ-სადგურს მოადგა სიმპეტროს ხომალდი და მოაბრძანა მისნი უდიდებულესობანი სელმწიფე იმპერატორს, სელმწიფე იმპერატრიცა, მეკვიდრე ტესარეიხი, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე და ბრწყინვალე ამა-ლა და მხლებელთ კრებული. სელმწიფე იმპერატორს სხვათა შორის ახლდენ სასახლის მინისტრი გრაფი მარანცოვ-დაშკოვი და ძავეასის მთავარ-მმართველი თ. ლონდუკოვ-პორსაკოვი.

მადამობრძანდნენ თუ არა ხომალდიდამ მათი უდიდებულესობანი, ზღვის პირს დიდის აღტაცებით დაჰხედნენ დეპუტაციები სხვა-და-სხვა თემთა და წოდებთანი. აუხაზეთის თავად-აზნაურობამა და სოხუ-

მის მკვიდრთა მიართევს პურ-მარჩილი და ღირს იქმნენ სელმწიფე იმპერატორის უმაღლესის მადლობისა, სოხუმელთა და აუხაზელთა ქალთა ყვავილების თაგული მიართევს სელმწიფე იმპერატრიცას და ყვავილებითე და დაუნის ფოთლით უფენდნენ გზას. ამის შემდეგ მოართევს თავანდელი ეტლი, სელმწიფე იმპერატორი თავისის უაგვუსტოქისს მეუღლით და მეკვიდრითურთ ჩაბძანდნენ და მიბძანდნენ წმიდა პანტელეიმონის ეკლესიაში. აქ ეკლესიის შესავალში მიეგება სოხუმის ეპისკოპოსი ბენნადი თავის კრებულთა და მშვიდობით მობრძანება მიულოცა და შესხმა მოახსენა. აქედამ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ სვიმონ ძანანელის ეკლესიაში. აქ დახვდა დიდ-ძალი კრებული მღვდელ-მონაზონთა და მონასტრის წინამძღვარი. სელმწიფე იმპერატორს მიართევს ძვირფასად შემკული ხატი სვიმონ ძანანელისა, სელმწიფე იმპერატრიცას ხატი ლეთის-მშობლისა და მეკვიდრეს ხატი წმიდა ნიკოლოზისა. პელოვან, საცა-კი მიბრძანდნენ მათი უდიდებულესობანი, აუორებელი ხალხი დახვდა. თავის გვირგვინოსან სტუმართა დანავაზენდ ხალხს სასახარულო კიკინი და ურას ძახილი გვირგვინავდა და გრიალებდა შეუწყვეტლად. თითქმის

მთელი გზა მოჰფენილი იყო ყვავილებითა და დაუნის ფოთლითა. სქემწიფე იმპერატორება უწყალობა და შესწირა ახალს-ათონს ხუთასი თუმანი.

მეორე დღეს, 25 სექტემბერს, მეათე საათზე, ციხეებიდან ზარბაზნების გრილმა ბათუმელებს აცნობა მათი იმპერატორებითი დიდებულებათა მოახლოება. მშვენიერად და მრავალ ფერად მორთული იყო ნავთსადგური ბათუმისა, საცა მათი უდიდებულებასანი უნდა გადმობრძანებულიყვნენ ზღვიდამხმელეთზედ. სიტუტუტესა და მორთვა-მოკაზმულობას ნავთ-სადგურისას ქება არ ეთქმის, ისე ლამაზად და გემოიანად შეეხამებიათ ყოველისფერი. თითქმის ნახევარი ვერსის მანძილზედ სულ ძვირფასი ხალიჩები და ორბოები ეფინა გზად და ფიანდაზად. მობრძანდა თუ არა უაგუსტოესი სასწაობა, მსწრაფლ მიეგებნენ უფროსნი მოხელენი, ქალაქის თავი, რომელმაც სქემწიფე იმპერატორს პურ-მარილი მიართვა. მალემა მიართვეს სქემწიფე იმპერატორსაც მეტის მეტად მშვენიერი ყვავილების თაიგული. ინახულეს რა ყოველნი, ეინც აქ მოსულიყო დასახვედრად, მათი უდიდებულებასანი მთელის ამალისა და მხლებლებითა წაბრძანდნენ ეკლესიაში. ეკლესიის კარებთან სამღვდლოებით დახვედა ეპისკოპოსი ბრიგოლი. შემდეგ ჯვარზე მოხვევისა და აიაზმის წყლის სხურებისა, ყოვლად სამღვდლო ბრიგორიმ სქემწიფე იმპერატორს მოახსენა შემდეგი შესხმა:

«უკეთილმსახურესო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ო!

მას აქეთ, რაც ეს მხარე, ერთ დროს მართლ-მადიდებელი, შემოუერთდა მართლ-მადიდებლობას, ეს პირველად არის, რომ ყოვლად შემძლე ღმერთმა ღირს გვეო ხილვად ჩვენი გამომხსნელის რუსეთის თვით-მპყრობელის სქემწიფისა თავისი უაგუსტოესის სასწაობით. ამ სადღესასწაულო და ჩვენთვის ბედნიერ წამს იმ განუსაზღვრელ მადლობის გრძნობას ყოველივე იმა მსხვერპლისათვის, რომელიც მომხდარა ამა მხარის სასარგებლოდ, ყოველივე იმ უხე-მოწყალებითათვის, რომელიც მას მოველინა, ჩვენს მადლიერ გულთა შინა, შეუერთდება წმიდა, კეთილ-კრძალუ-

ლებითი და უქვეშევრდომილესის სიყვარულის გრძნობაცა შენდამი, სიყვარულით აღესებულის ჩვენის მამისა და კეთილის მყოფელისადმი. უფალო მადათა შინათა იხარებდეს შენე, და ქენა სათანისანი უაგობდენ შეუფესა მათსა. მოვედ, საყვარელო სქემწიფეო, და ხვიდოდე ძღვევა-მოსილობით კეთილსა და განათლების გზასა ზედა შენს ვრცელს სამეფოში, რომელსა შინა მილლიონი მოსიყვარულე გულნი სიყვარულით მოგვეგებებიან შენ და მიანიჭე ყველას მშვიდობა და ნუგეში. კურთხეულ ანს მომავალი სასულითა უფლისათა.

შესხმის გათავების შემდეგ მათი იმპერატორებითი უდიდებულებათ ყოვლად სამღვდლო ბრიგორი შეუძღვა ეკლესიაში, სადაც მცირე ლიტის შესრულების შემდეგ, დაიწყო წირვა. წირვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდლო ბრიგორიმ მშვენიერი ხელოვნებით ნაკეთები ვერცხლის დაოქერილი ხატები მიართვა მათ იმპერატორებითი უდიდებულებათ: სქემწიფე იმპერატორს მიართვა ხატი პირველ-წოდებულის ანდრია მოციქულისა, რომელმაც პირველად იქადაგა ქრისტეს სწავლა შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირებში; მათ იმპერატორებითი უდიდებულებას იმპერატორსაც—ხატი ივერიის ლეთის-მამობლისა, შემკვიდრეს—ხატი წმიდა ნიკოლოზისა, ხოლო მათ იმპერატორებითი უდიდებულებას დად მთაკანს გიორგი ალექსანდრეს ქს—ხატი წმიდა მთავარ-მოწამის ბიორგისა.

ეკლესიიდან მათი იმპერატორებითი უდიდებულებანი წაბრძანდნენ ქალაქის ერთ მოედანზე, სადაც კველაფერი იყო მომზადებული ახალი ეკლესიის ბალავრის ჩასაყრელად. შოვლად სამღვდლო ბრიგორი მთელი კრებულით შემოსილნი გაემგზავრა ბალავრის საკურთხებლად. დანიშნულს ადგილს ღიდ-ძალი საზოგადოება შეკრიბა. შემდეგ «აცხოვნე უფალო ერთი შენი»-ს გათავებისა, ყოვლად სამღვდლო ბრიგორიმ აღმართა ჯვარი ბალავერში. შემდეგ ასხურა კედის ქვები და მიართვა მათ იმპერატორებითი უდიდებულებათ. სქემწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და თავისის საკუთარის ხელით ჩასვა საძირკველში პირველი ქვა, შემდეგ მიართვეს ვერცხლის ფიციანი



ზედ წარწერილობით და ისიც თავის საკუთარს ხელ-  
ლით ჩასდგა იმპერატორმა ბალავერში. ასევე მო-  
იქცნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა იმპე-  
რატრიცა, მემკვიდრე და დიდი მთავარი გიორგი ალექ-  
სანდრეს ძე. ბალავერის ჩაყრის შემდეგ ყოვლად სა-  
მღედდლო ზრიგორიმ შემდეგი შესწმა მოახსენა  
სელმწიფე იმპერატორს:

«უკეთილმსახურესო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ო !

მრას წელიწადზე მეტი იქნება, რაც ცრუ წინასწარ-  
მეტყველის თაყვანის-მცემელი ავიწროებდენ ამ მხა-  
რეს; მაგრამ დადგა დრო, დრო სინარულისა და რუ-  
სეთის მეფის მარჯვენიტ შესრულდა სასწაული. მით-  
ქოს მოსეს კვერთხის ძალით, ეს აოხრებულნი მხარე  
აღსდგა და ფერი იცვალა თქვენი და თქვენი ნეტარ-  
ხსენებულნი მშობლის სიყვარულობით აღსილი მზრუნ-  
ველობითა. ღამიზო მეფობა უმართლოებისა, — და იქ,  
სადაც მრავალი საუკუნოების განმელობაში სუფევე-  
და თავ-შეუკაცვებელი თვითმნებლობა, აწ მეფობს  
სიმართლე და მოწყალება; იქ, სადაც ხალ-  
ხი ჩაფლული იყო სიღარიბესა და უმეცრეებსა შინა,  
აწ დანერგულ არს კეთილ განათლება, რომელიც  
შეძენილია ათასი წლის ქრისტიანობრივი ცხოვრებით;  
გაიღიან წყნნი და ამ ტაძრის გარდა აღმობრწყინ-  
დება ჯვარი უფლისა ქრისტიანობის იმ საუცხოვო ხე-  
ლოვნებით ნაკეთებ შენობათა ნანგრევებზე, რომლე-  
ბიცოც მოფენილია ეს მხარე, — და აღმობრწყინდება  
არა ხმლის ძალით, არამედ ნათლისა და რწმენის  
ძალით, ღეთებრივი მადლის ძალითა. კვერთხის  
ძლიერებისა გამოგვიგინოს შენ უფალმა სიონით, და  
უფლებდე შორის მტერთა შენთა».

შემდეგ ბალავერის კურთხევის გათავებისა სელმწიფე  
იმპერატორმა კეთილ-ინება ჯარის დახედვა დანაშუა-  
დღევის პირველს საათზე მათი უდიდებულესობანი თა-  
ვის ამალით და წარჩინებული მხლებლებით კელავ  
წაბრძანდნენ ხომალდზე საუზმის მისართმევად. საუზ-  
მზე მიწვეულ იქნა ყოვლად სამღედდლო ზრიგორი  
და ზოგიერ თი წარჩინებულნი სამღედდლონი. სელმწიფე  
იმპერატორმა და სელმწიფე იმპერატრიცამ გააბუნძიე-  
რეს უმოწყალების საუბრით მათი ყოვლად უსამღედ-  
ლოცობა ებისკოპოსი ზრიგორი.

მიზრძანება ხელმწიფე იმპერატორისა და მისი  
უაფხუსტომის სახლობისა ქ. თაილისში.

(«ივერია»).

გათენდა 28 სექტემბერი და ჩვენმა მოხუცებულმა,  
ძველის-ძველმა დედა ქალაქმა სადღესასწაულა მართუ-  
ლობით დაინახა თავსა თავი. ჩვენი თბილისი — ეს  
მსტრკანი დედა-ბაბა მთელს საქართველოსი, ეს გული  
ჩვენის ქვეყნისა, საგანგებოდ მართული და მოკაზმე-  
ლი, — გუშინდელს პატარ-ძალსა გვანდა. რკინის გზის  
სადგურიდან დაწყებული მთელს ძიხილოვის ქუჩა, ხი-  
დი, სიღამედმა ბარათინსკის აღმართი სულ მწკანე  
ფოთლითა და კენზილებით არის შეკეული. ყვავილები-  
სა და მწკანე ფოთლის გრენილებით გადამულია რჩი-  
კე პირა ქუჩებისა. სახლებსა, სახლის ბანებსა, მოაჯი-  
რებსა და ფანჯრებსედ გადმოფენილია და გადმოკიდე-  
ბული მრავალფეროვანი ფარები, რწხები და ხალიჩე-  
ბი! საითაც მიიხედვით, ყველგან სამ ფერაინი ბაიჩაღე-  
ბი ფრიალებს! რამდენჯანმე ამართულია მშვენივრად მო-  
კაზმული სატრეუმფო კარი, ყვავილითა და მწკანით  
მართული. ერთი ამისთანა საგანგებო კარი სდგას ბა-  
რათინსკის აღმართიდან გოლგოთის პარკსუქტზედ.  
სასხლის ქუჩა დაფენილია მწკანით. აქედამ დაწყებული  
შუა ბაზრის თავამდე დიდრჩინი სასახლენი ერთი მეო-  
რეს ეტილებან შარკელობას მართულობითა და მოკაზ-  
მულობით. შუა ბაზრის თავში აღმართულია ტურტაღ  
სასახლი სატრეუმფო კარი და ზედ აწერია რუსულად:  
«ძველი თბილისი ქედს გისხის».

მშვენიერი დღეა. მოქმენდილის ტის ტიგ-ლავარ-  
დი გუმბათი დაჭურვებს და დაჭნარის თბილისს, ატკობს  
და ათბებს თავისის მხურვალე მზის სხივოსანის ნათ-  
ლითა. დუმილია ზენად და ქვენად და კვ დუმილი მით უფ-  
რო ზარბანია, რამ დიდის მოლოდინის დუმილია! რა-  
ამბავია! რა უოფაა? თბილისი და მისნი მკვიდრნი ჯერ  
ამ ყოფით არავის უნახვს.

ის იშვიათი ამბავია, ის დიდი უოფაა, რამ დღეს  
ათს საათზედ თბილისი და თბილისკენი მოკლან ზედ-  
ნაერებს თავისის ხელმწიფისა და მის უაფხუსტომის  
სახლობის ხილვისას. დღეს უოფად ძლიერი ხელმწიფე  
იმპერატორი მთელს რუსეთისა, ხელმწიფე იმპერატრიცა,  
მემკვიდრე ცესარეიჩი და დიდი მთავარი გიორგი  
პლექსანდრეს ძე ეწვევიან თბილისს. დღეს თბილისი  
ღიწს იქნება გაუმასპინძლეს კვირკვირის სტუმრებსა  
და გაუმასპინძლებს კიდევ სახელოვანად, ამიტომ —  
რამ თბილისი გულია საქართველოსი და ქართველთა  
გული ხომ «გულადი და პურადი».

მთელი სადგური რკინის გზისა მშენიანად იყო მოართული, ორსოებით მოყვნილი და კვლავსე ოთხკუთხივ მიკუთხული ქონდა ვაკალებით დაწული მათ უდიდებულესობათა კენსელები.

სწორედ ათ საათზედ მოგზიადდა რკინის გზის სადგურზედ საიმპერატორო ვაგონი და მოაბრძანა ძეგისნი სტუმარნი. შორიდანვე გამოჩნდა თუ არა მატარებელი, გაისმა ერთობილი გიჟინა და «ურა!»-ს მახილი გაუწვევტლად. აქ სადგურის ბაქანზედ დახვდა საბატო ვარჯული საქართველოს თავად-ახნაურთა. სულ ოც დახუთი ემაწვილი ვაგონი, ერთი მეორეს მჯობი, მშენიანად შეიარაღებული და მშენიანადვე მოართულია წითელის ხავერდის ქულაჯებითა და ამის შესაფერ სამკაულით. მობრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი თუ არა, ბედნიერის თვალთ იხახულეს ეს მწეობრი საბატო ვარჯულისა და თვალ დაკვირვებით აუარ-ჩამოურეს მის ავტუსტრეს სახლობის წევრთა და ამალთ თურთ.

აქ გუბერნიის მარშალმა მოკლე სიტყვა მოახსენა მათ უდიდებულესობათა. აქვე, სოლო სხვა მსრივე, იდგნენ ქალაქის თავი და ქალაქის წარმომადგენლები — ხმელსანი. ქალაქის თავმა მოახსენა მოკლე სიტყვა. მას შემდეგ მათნი უდიდებულესობანი მთელის კრებულით თურთ შებრძანდნენ რკინის სადგურის დაბრძანება, საცა ელადნენ მათის ნახვის ბედნიერებას თბილისის დიდ-კაცობის ქალები; ქ-ნთ შერემენტიევისამ, გონხარკისამ და ქალაქის თავის მეუღლემ ხელმწიფე იმპერატორისა თითოეულად ცალკე მიართვეს უვაკლების თავი ული. პატარა ხანს შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატორისა ერთად ჩაბრძანდნენ ეტლში და წაბრძანდნენ სიონისაკენ.

რკინის გზის სადგურიდან დაწყებული სიონამდე, ამ დიდს მანძილზედ, ორივე მხარე გზისა მჭიდროდ შეკვრა აუარებელს ხალხს და ორს დიდს ფერად გრეხილს წარმოდგენდა. მთელს ამ გზაზედ არ იყო სახელი და სახლის ხანი, არ იყო მოაჯირი, რომ ქალთა თუ კაცი თა არა უფალოეუა გამოჰყვდილი. რკინის გზის სადგურის გამოსავალს კარებში იდგა ამქრობა. შირველი ადგილი, მარცხნივ, ეჭირათ მესხჯულებს, რომელთა უმეტესობა ჯაჭვის ზეზანგებითა ჩაქნებით იყვნენ, თავზედ მუზარადები ესურათ და ხელში ფარები ეჭირათ. იმათ შირდაპირ იდგნენ თერძები, გურულს ტანისამოსში გამოწყობილნი. ამათ მოზღვედენ მეჭუდეები, რომელთაც თეთრი ფაფასები ესურათ. მეჭუდეების შირ და-პირ ხელისათა ბაირადები და დროშეა იყო თავმოყვრილა, რე მელთა წინ იდგა ბატონი ნაუმეკო, ხელისან-

თა თავი ამხანაგებითურთ. ხელისანებს შემდეგ იყვნენ ონკერთა და ფელშერთა სასწავლებლების მოწყობნი მასწავლებლებითურთ და მთელას ელისაბედის ქუჩის ერთი ნაწილი ეჭირათ. ელისაბედის ქუჩადგან მიხეიდასავე ვანანტოვის ძეგლამდე გაუფლებსე გამწვრივებული იყო ჯარი; ამ ჯარში ერივნენ, სხვათა შორის, სამი ბატალიონი ატამანის ჯარისა, რეზერვის ბატალიონი, რესერვის დრუჟინა და სამი ბატალიონიც კავკასის ჯარისა. სიად გამოდმა ალექსანდრეს ბაილიგან დაწყებული იყვნენ დამწვრივებულნი სხვა-და-სხვა სასწავლებელთა მოწყობნი მასწავლებლებითურთ და იმათ შემდეგ კვლავ ხელისანი მოზღვედენ უსტაბაშებითურთ და ზურნა-დუღუკით.

მეთერთმეტე საათი იქნებოდა, რომ მათ უდიდებულესობათა ეტლმა შეუსვია ლორისმელიქოვის ქუჩასე. აქ, ამ ქუჩაზედ, ალექსანდრეს ბაილიამ შუა ბაზრამდე დამწვრივებულნი იყვნენ შეგირდები სხვა-და-სხვა სასწავლებელთა: შირველი ელასიკური გიმნაზიისა, მუსულმანთა მედრესისა; სათავად-ახნაურთა სკოლისა, სასულიერო სემინარიისა, კადეტების კორპუსისა და საქალაქო სასწავლებელთა მოსწავლენი; ქალნი მოსწავლენი დამწვრივებულნი იყვნენ თამამოვის ქარვასლიამ სასახლეამდე. მოსწავლეთა გარდა ქუჩის ორთავ მსრივე იდგნენ მწვრივად ქალაქის მკვიდრთაგან ამოწვეული მეწესენი, რომელთაც ამის ნიშნათ ცალკე ბილეუები ქონდათ გაკეთებული გულზედ. შეგირდები, ამქრობა და აურბელები ხალხი, რომელიც ქუჩის შირად ჩამოწვივებულნი იყვნენ და შეგირდების ზურგს უკან მოკვარა თავი, მოუთმენლად ელოდნ მათ უღარებულესობათა გამოვლას. აი დაურეს მუსიკა შირველი გიმნაზიის შეგირდებმა. ხალხს ეგონა მოაბრძანებო და მიიძრ-მოიძრა ამოდენა ღელვა ხალხისა. წესი ერთ წუთსაც არ დარღვეულა. უკვლას თავი რიგინათ ეჭირა. ჩაიარა ეტლით სიონისკენ თბილისის პოლიციის უფროსმა. გაიარა პატარა ხანმა, ესე ათიოდე წუთმა, და კვლავ მოუთმენლად დაიწყო მოძრაობა ხალხმა. შორიდან ისმოდა გრვენივა «ურა!»-ს მახილისა. «მობრძანდება, მობრძანდება!» გაისმა ხალხში თავიდან ბოლომდე. მძაურობა და უჩაიძული უფრო გამოიკრდა. ხელმწიფე იმპერატორი მოუხსლოდა შუა ბაზარს, საცა ამართული იყო აღმოსავლეთის გემოვნებაზე ნაკეთები სატრუმფო კარი, მოართული სადღესასწაულოთ და შემკული ზედ წარწერებით. ზედ ეწერა მარცხნივ: «1881 წ.», მარჯვნივ: «1888 წ.», შუაში 487 «Старый Тифлисъ нѣтъ челомя». ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატორისა თავ-ახდილს ეტლში ბრძანდებოდნენ



და აქეთ-იქით საღამოს აძლევენ ბედნიერებით აღვსილ ხალხს, რომელიც უფრო და უფრო მეტის კიყინითა და გრგვინით იძახდა «ურას!»-ს.

მათ უდიდებულესობათა ეტლს უკან მოსდევდა მისი უმაღლესობის მემკვიდრე ცესარეიჩის ეტლი, რომელს შიგნით ბმანდებოდა მემკვიდრეს გარდა დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძეცა. ამაზედ მოჭევა ეტლები მსჯებლებისა და ამალისა.

მეთერთმეტე საათზე სიონის შესავალთან გაჩნდა ხელმწიფე იმპერატორის ეტლი. აქ დაუსხდა იმას საქართველოს ექსარხისა ზაფლადი და უოკლად სამდგველონი ალექსანდრე და ბესარიონი კრებულთ. მისმა უოკლად უსამდგველესობამ საქართველოს ექსარხისმა მოასვენა მის უდიდებულესობას შემდეგი შესხმა:

«უკეთილ-მსახურესო დიდებულო»

ხელმწიფეც, იმპერატორო!

დიდის სასოებითა და მადლობით აღვსილნი უფლისა მიმართ მოგებებით ამ უძველესის სახელქმებულ სიონის წმიდათა კართა წინა შენ, ჩვენო ყოვლად მოწყალეო მამაო მამულისაო, და ერთ გამთუთქმელის სიხარულით აღფრთოვანებული მოკითხვას მოგახსენებთ მთელის ივერიის სახელითა.

კეთილდღეობასა შინა მყოფნი ქვეშევრდამნი თქვენნი კურთხეულსა საბრძანებელსა შინა თქვენსა, ეითარცა ძენი ერთის განუსაზღვრელის დადებულის ოჯახისანი, დამკვიდრებულნი ვითა ძეგლი ისრაელი ეამსა სოლომონისასა ვენახთა და ლელენართა ქვეშე, დამტკბარნი მშვიდობიანობითა, კმაყოფილებითა, სხვას რას-ღა მოვთხოვდით უფალსა, თუ არ ერთს მხოლოდობითს სავედრებელსა—მოგვხედ და გაგვახარე სიხარულითა დიდითა წინაშე პირსა შენსა. ისმინა უფალმა. ღმერთმა ჩვენმან სავედრებელი ჩვენი! ნათელი პირისა შენისა მოგვეფინა ჩვენ, თქვენგან შორს მყოფთა თქვენი ძნელი და ხანგრძლივი მიმოსვლა თქვენს. თვალ-გაღუწვდენელს საბრძანებელსა შინა ძავკასიის მთათა, ზღვითა და ხეობადმდე, განა საცნაურ არ ჰყოფს, რომ შენ, დიდებულო ხელმწიფეო, შენი, სამეუფეო და მამობრივის მზრუნველობითა გულს აწვდენ თვითეულს შენდამი ღვთივ-მონდობილს ერს ერთ ნაირად და თანასწორად, რომ შენ გსურს იცოდე სამეფო შენი არა მარტო მით, რაც მოეხსენება ტახტსა შენსა, არამედ მით, რასაც შენი ბედნიერი თვალი ინახულებსცა, რათა ყოველივე მიმართოს

მარჯვენამან შენმან კეთილისა, მართლისა, წესიერებისა, წარმატებისა და სისრულისადმი. ჭეშმარიტად, შრომა და ღვაწლი შენნი ჩვენი მშვიდობაა, ჩვენი მფარველობაა, ჩვენი ბედნიერებაა, ჩვენი კეთილდღეობაა.

ძავკასი, ოდესღაც საშიშარი და ზარ-ცემული, ხოლო დღეს დამშვიდებული და სახელოვანი ქველობითა და გამარჯვებითა, ძვირფასი მარგალიტია შენის სამეუფეო გვირგვინისა და ერთი უკეთესი ქვეყანაა შენის თვალ-გაღუწვდენელის საბრძანებელისა. მამობრწინე პირი შენი კეთილმოსურნედ მეფეთა მოყვარე ივერიის ერსა ზედა, რომელიც სიხარულით დღესასწაულობს თქვენს მობრძანებას. სიხარული იგი ცხადად მეტყველებს თქვენდა სანახავად მოზღვაებულ ერის თვალთა შინა; იგი აღტაცებულია და ღალატებს თვის სიხარულს. ეს მრავალტანჯული ქვეყანა შენში ხედავს თვის დიდს კეთილ მყოფელსა, თვის მშვიდობიანობასა, თვის კეთილ-დღეობასა. ბულ-მხურვალეებს ერდგულ ქვეშევრდომულის სიყვარულითა და მზად არის შენდა თავდადებისათვის. ბედნიერი მობრძანება თქვენი ჩვენს ქვეყანაში აღმოუზოცველად აღიბეჭდება გულსა შინა ჩვენსა სიხარულით აღსავსესა და სახსოვრად გადაცემულ იქმნება ნათესავი დამ ნათესავადმდე.

უკულოთადესი სიხარული ჩვენი უფრო აღემატება მით, რომ ჩვენ ველირსეთ და ვიხილეთ ჟაგჯის-ტაკსი მეუღლე შენი უკეთილმსახურესი ხელმწიფე იმპერატორცა, დედა მამულისა; ეს დიდი არა ჩვეულებრივი ბედნიერება წილად ხედა ჩვენს შორეულს ქვეყანას პირველად. ღა აი, პირმშო ძენიც თქვენნი, ვითარცა რტონი ზეთის ხილისანი აღყვავებულნი კურთხეულსა ნერგსა ზედა, სიხარულსა ჩვენსასა აგვირგვინებენ. მაღალისა და სიბრძნით სავსე ხელმძღვანელობითა იგინი მგზავრობენ რა თქვენთან ერთად, გულისხმას ჰყოფენ და განიბრძნობიან.

თვალნი და გულნი ჩვენი მთლად არიან თქვენდამი მოპყრობილნი დაესტებეცა ხილვითა სამეუფეო სათნოებთა თქვენთა და სიხარულმა ჩვენმა გასიამოვნოსცა თქვენ, უკულოთადესი სიხარული ჩვენი შეუერთდეს მხურვალეს და უკულოთადესსვე ლოცვას. ტახტი შენი, უკეთილ-მსახურესო ხელმწიფეო, იყოს მფარველობასა ქვეშე უზენაესის განგებისა და ხამყობელო შენი მკვიდრ და ძლიერ; მეუფემან მეფეთამან კეთილად აღასრულოსცა ყოველი საწადელი სიყვარულით აღვსილისა გულისა შენისა და უწებელ გუოს ყოველგან

და ყოველთვის! ყოველთა გზათა შინა მუარველობითა თვისითა გფარვიდეს შენ, ჩვენის კეთილ-ღვთობის დამამყარებელს, ჩვენს ღიღებასა და ძლიერებას, შენს უაღვუსტოესს მეუღლეს, ჩვენს ბედნიერებას, მემკვიდრე ცესარევიჩს, ჩვენს იმედს და მთელს სამეთო სახლობას.

მოვედინ სამეუფო გზითა ოქტენითა ძველსა ამა საკურთხეველსა და უზენაესი გაკურთხებთ ოქვენ კურთხევეითა ზეციერთა სიონისაგან წმიდისა მისისა.

ტაძრის მარცხენა მხარეს იყენენ სამღვდელნი და უწარბინებულენი სამოქალაქო წოდებისანი პირველის სუთის საარსისსა. გაისმა «აღსოვნე, უფალე, კრი შენი» და მათნი იმპერატორებითნი უღიდებულესობანი შეზრძანდენ ტაძარში. დაიწყო მოკლე ზარაკლისა, რომელიც დაითავრდა სადღეგრძელო გალობითა მათი იმპერატორებითი უღიდებულესობათა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და მთელი სახლისათვის.

ზარაკლის დაითავრებისს ყოვლად მაღალ უსამღვდელესმა ექსარხსმა საქართველოსამ აკურთხა ხელმწიფე იმპერატორი იკარიის მღვთის-მშობლის სატით, ხელმწიფე იმპერატორი—საქართველოს განზანათლებელის ნინოს სატით, მემკვიდრე ცესარევიჩი—პოტაპოვის მღვთის-მშობლის სატით და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე—წმ. გიორგის ძველ-მოსილის სატით.


შემდეგ მათნი იმპერატორებითნი უღიდებულესობანი კმთხვიენენ სიონის ღვთის-მშობელსა და ჯვარს მოცაქულთა სწორის წმიდა ნინოსსა და გასინჯეს უძველესნი ნივთნი სიონის ტაძრისანი, რომელიც ელაგა ცალკე სტოლზედ ამბიონის მარჯვნივ. ამ ნივთთა შორის მათი იმპერატორებითი უღიდებულესობათ იხილეს მიტრას კათალიკოსთა და სამთავისისა და ალაკერდის ეპისკოპოსთა, მოქარგული ამიფოდი, ენქეა, გარდამოსსა, დაფარსა, მოქარგული ქოშები კათალიკოსთა, რომლებზედაც მორიელთა გამოყვანილი, ბეჭედი კათალიკოსთავე და საღმრთო სულთ-ნაწიანი წიგნი მხატვრობით.

თქმითვის სასკვარზედ მათნი უღიდებულესობანი წაბრძანდენ სიონის საკრებულო ტაძრადამ.

სამს სათხედ იყო დანიშნული სასახლეში სამოქალაქო შეინასეთა წარდგომა. სხვათა შორის წარდგენენ აქ მათ უღიდებულესობასთან მართლ-მადიდებულთა და სხვა საწმენებრებათა სასულიერო წოდების კაცნი და გარეშე ქვეყნის კონსულეობი.

მეოთხე საათის სასკვარზე მათნი უღიდებულესობანი გამბრძანდენ ამ დარბაზში, სადაც იდგა საქართველოს თავად აზნაურთა და დეპუტაციები თბილისის გუბერნიის მარჯვნივ და განჯა ერკენისა.

აქ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ. პაგრატიონ მუხრანსკიმ მოახსენა მის უღიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს შესხმა.



**მღვდლის სამსახურისადმი მოწოდებაჲი. \*)**

მეორე პირობა, რომელიც ითხოვება მღვდელსობის მოსურნე პირისაგან, არის ამ სამსახურისადმი მომზადება, ე. ი. სულიერად და გონებითად განათლება მღვდელსობის მოსურნე პირისა, რომ მისი გონებითი განვითარება და სულიერ-ზნეობითი თვისებანი შეეფერებოდნენ მღვდელსობის სამსახურის მოთხოვნილებათ. მრთი სიტყვით მღვდელსობის მოსურნე პირმა უნდა მიიღოს გონებითი და ზნეობითი განათლება; მან უნდა განივითაროს თავის-თავი.

შოველივე ხელობა შესაფერ მომზადებას ითხოვს. არავის არ შეუძლია მენახიკობა, ხუროთ-მოძღვრობა, ეკიმობა, მხატვრობა და სხვა, თუ თავ-და-პირველად მან თავის ხელობის საგნები ჯეროვანად არ შეისწავლა. და თუ ამისთანა მომზადება საჭიროა ყოველი ხელობისათვის, მით უმეტეს იგი საჭიროა ისეთი უმაღლესი სამსახურისათვის, როგორც არის მღვდელსობა. ამისთანა მომზადებას ითხოვს თვით არსებითი ძალა მღვდელსობის სამსახურისა. მღვდელი არის ხალხის მასწავლებელი, მამასადადე საჭიროა, რომ მან საუფუძელიანად შეისწავლოს ის, რისიც მოვალეა ასწავლოს სხვას; მღვდელმა უნდა განუმარტოს ხალხს სარწმუნოების ქვეყნობისადმი და კეთილ გზაზე დააყენოს ისინი, რომელნიც ასცდენილან ამ გზას. ამისათვის საჭიროა, რომ პირველად მღვდელმა შეისწავლოს ყველა საჭირო საგნები. მღვდელმა უნდა უწინამძღვროს ხალხს ცხოვრების გზაზე, იგი ლამაზია ქვეყნისათვის, ამიტომ იგი მოვალეა უჩვენოს ხალხს კეთილ-ცხოვრებისა და ქველ-მოქმედების მავალითები. საჭიროა, რომ პირველად მღვდელმა გაივარჯიშოს თავის თავი კეთილ-საქმეებში, თვითონ აღასრულოს ყოვე-

\*) ის. «მწიგნოსი»-ს № 15.



ლივე ის, რის აღსრულებასაც სხვისგან მოითხოვს. წმ. ბრიგორი ორ-მეტყველი ერთ თავის წიგნში მდგდელობის სამსახურის შესახებ ამბობს: «ვერანებ ქვეყანაზე არაფერ არ იკისროს ასწავლოს სხვას ისეთი ხელობა, რომელიც პირველად თვითონ არ შეუსწავლია საფუძვლიანად. ძალიან უჭკუოდ იქცევიან ისინი, რომელნიც მოუშხადებლად იღებენ თავის-თავზე მღვდელობის სამსახურს და ყურადღებას არ აქცევენ, რომ კაცის სულის მართვა ყოველ ნაირ ხელავენებაზე უმაღლესია!»

ამაზე შეიძლება ზოგიერთებმა გვიპასუხონ: «თავ-და პირველად მართლ-მადიდებელ ეკლესიას არავითარიმე სსწავლებელი არა ჰქონდა, სადაც მღვდელობის მოსურნე პირთ ჯეროვანად მომზადება შესძლებოდათ, მაგრამ ეს ეკლესია მაშინ უფრო მტკიცედ აღდა სარწმუნოებას და კეთილ-ცხოვრებას, ვინემ დღეს. ზოგჯერ ეპისკოპოსებად და მღვდლებად ისეთ პირებს ირჩევდენ, რომელთაც ფიქრადაც არა ჰქონდათ მღვდელობა და არც ჯეროვანად ყოფილან იგინი ამ სამსახურისათვის მომზადებულნი, მაგრამ შემდეგში ისინი თავისი უბიწო სამსახურისათვის წმიდანებად იქმნენ შერიცხულნი; სხვათა შორის ერთი მენახშირე, სახელად, ალექსანდრე აღრჩეულ იქმნა მღვდლად». ჟოველივე ეს მართალია და ჩვენც თანახმანი ვართ ამისა, მაგრამ ამისთანა მაგალითები ძალიან იშვიათია. ლმერთს, როგორც თვით იოანე ნათლის-მცემელი იტყვის (მათ. 3, 9) შეუძლია ადღგინებად ქვითა ამთგან შეილად აბანისა და მღვდელობის სამსახურისადმი მოუშხადებელი პირიც შეუძლია გასწმიდოს და გონებითად გაანათლოს.—მაგრამ თვით ეს ზემოდ ჩამოთვლილი მაგალითები გვარწმუნებენ, რომ მღვდელობის სამსახურისადმი მომზადებაა საჭირო. ოუმცა წმ. ამბროსის უმაღლესი საერო განათლება ჰქონდა მიღებული და განთქმული იყო თავისი კეთილი ცხოვრებით, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ არა რაცხდა ამ განათლებას მღვდელობის სამსახურისათვის. მისკოპოსად აღრჩევის შემდეგ იგი გულს-მოდგინებით შეუდგა საღმრთო წერილის შესწავლას და თვითონ მოიპატიჟა მღვდელი სიმპლიციანი, რომელსაც უნდა ესწავლებია მისთვის სარწმუნოების და კეთილ ცხოვრების ჭეშმარიტებანი. როცა წმ. ამბროსი თვითონ დახელოვდა, შემდეგ ასწავლიდა თავის კრებულს. როგორც თვითონ წმ. ამბროსი, ისე მისგან მოპატიჟებულნი მღვდლები ასწავლიდენ მისი კრებულის თითოეულს წევრს იმას, რაც საჭირო იყო

მღვდელობის სამსახურის ჯეროვანად აღსრულები-სათვის, მენახშირე ალექსანდრე, მართალია, მომზადებული არ ყოფილა მღვდელობის სამსახურისათვის, მაგრამ იგი მაინც აღიჩინეს მღვდლად, რადგან მას სხვაზე უფრო გაეგებოდა და ესმოდა სარწმუნოების ჭეშმარიტებანი, რომელთა ცოდნა დაამტკიცა მან სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა მან ქრისტიანეთა შეკრებილებაში. ოუმცა მართლ-მადიდებელი ეკლესია სამი საუკუნე მუდამ დევნაში იყო და თითოეული მისი წევრი მოწამებრივ სიკედილს მოელოდა ყოველ წამს, ქრისტიანეთა სისხლი მდინარესავით იღვებოდა, მაგრამ ცხოვრება და სწავლა როგორც თვით იესო ქრისტესი, ისე მის მოწაფეთა მტკიცედ იყენენ აღბეჭდილნი მორწმუნეთა გულსა და გონებაში; კეთილი და წმიდა ცხოვრების მაგალითები კიდევ ბევრგან იყენენ შესამჩნევი; ყოველივე ეს იცავდა სარწმუნოებას და სხვათაც აქეზებდა, რომ მათთაც მიებაძათ ღვთისგან აღრჩეულ პირთათვის. ამ მიზეზისა გამო ამ დროს სულიერ-ზნეობითი აღზრდა ახალთაობისა ისე ძალიან მაღლა იდგა, რომ ქრისტიანეთა ახალ-თაობაზე არავითარიმე გავლენა არა ჰქონდა კერპთ-თაყვანის მცემელთა უმაღლეს სწავლა-განათლებას. ამის მაგალითს წარმოგვიდგენენ მასილი დიდი და ბრიგორი ლეთის-მეტყველი, რომელნიც სწავლობდენ უმაღლეს ფილოსოფიურ მეცნიერებას ათინაში. იკინი სრულებით არ აქცევდენ ყურადღებას კერპთ-თაყვანის მცემელთა უმაღლეს სწავლა-განათლებას, არამედ მეცადინობდენ, რომ სინამდვილით შეესწავლათ სარწმუნოება. ამ დროს ბევრი დამბრკოლებელი მიზეზები იყო, რომელთა გამო შეუძლებელი ხდებოდა მღვდელობის სამსახურისათვის მოსამზადებელი სკოლების დაარსება. მაგრამ ამ დროს უამსკოლებოთაც შესაძლო იყო მღვდელობის სამსახურისათვის ღირსეული და ნიჭიერი პირების მონახვა.

ღვსაც ბევრი მოიპოვებიან ისეთნი პირნი, რომელნიც მღვდელობის სამსახურისათვის არავითარიმე განსაკუთრებითი აღზრდას და განათლებას საჭიროდ არა სთვლიან. მათის ფიქრით, ვითომც, საკმაოა მღვდელი კი ყოფა-ქცევისა იყოს, იცოდეს ღვთის-მსახურებისა და საიდუმლოების შესრულება და არა ჰქონდეს ისეთი რამ ნაკლულევენებანი, რომელთაც დაამბრკოლონ იგი მისი მოვალეობის მტკიცედ აღსრულების საქმეში. ლეთის მაღლი და სიმბრძნე, ბრძანებენ ეს პირნი, გადმოდის მღვდელობი მოსურნე პირზე ხელ-დასხმის დროსო. ამისთანა ფიქრი შემცდარიცა

და მეტად უსაფუძვლო; წმიდა საიდუმლოებში ლეთის მადლი მოქმედებს მათზე, რომელნიც კრძალულებით და სარწმუნოებით ემზადებიან მის მისაღებად. ზემოდ აღნიშნული აზრის თანხმანი იქნებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც არ ესმისთ მღვდელობის სამსახურის დიდი ძალა და სიწმიდე. მთელი ისტორია ეკკლესიისა, თვით იესო ქრისტედამ დაწყებული, წინააღმდეგი იყო ამ აზრისა და უარსა ჰყოფდა მას.

**კიდევ ჩამნი მოგზაურობის უანიუნიანი.**

როგორც წინეთ, ისე ამ უკანასკნელი მოგზაურობის დროსაც რუსეთში ჩვენ მივიღეთ მრავალ-გვარი სასიამოვნო შთაბეჭდილებანი, რომელთაც დიდის სიამოვნებით განუზიარებთ ჩვენ მკითხველებსაც. ჩვენზე განსაკუთრებით მეტის-მეტი მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა: 1) 14 იელისს ძიევის სასულიერო აკადემიის ზალაში მომხდარმა კრებამ, 2) კიევის მიტროპოლიტის საუბარმა და სიტყვა-მოდღერებამ მათი მეუფების სასახლეშივე შეკრებილ მონასტრში მოსულ მლოცველებთან 16 იელისს და 3) სხვა-და-სხვა სპატიო პირებთან საუბარმა შესახებ ჩვენის ქვეყნისა და ხალხისა.

მითხმეტს იელისს, დილის თერთმეტ საათზე ძიევის აკადემიის დიდი შესაკრებელი ზალა საესე იყო ხალხით. მრთ მხარეზე იდგნენ წარმომადგენელი, სხვა-და-სხვა კუთხეებიდან მოსულნი, ძიევი რუსების ნათლის-ღების 900 წლის დღესასწაულის მისალოცავად. მეორე მხარეზე იდგნენ უმაღლესი სამღვდლოება და საზოგადოება. შუაზედ ისხდნენ მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები და სხვა დიდებულნი პირნი. ზალის ერთ კუთხეშიდ, მოშორე-

ბით იდგნენ მგალობლები. მითქმის ყველა ტომის ხალხი იყო აქ შეკრებილი: — რუსი, ბერძენი, ქართველი, სლავიანების სხვა-და-სხვა წარმომადგენელი, აბესინელი, იპონელი და სხვანი. შევლანი შეკრებილნი ერთი და იგივე მიზნისათვის, — მიულოცონ ძ. ძიევის მკვიდრთ 900 წლის შესრულება მასაქეთ, რაც პირველად მოინათლა წმ. მლადიმირი და მონათლა სხვანიცა. რამდენათაც სასიამოვნო იყო რუსეთის სხვა-და-სხვა მხარეებიდან მოსულ პირთა ნახვა, იმდენად უფრო სასიამოვნო იყო სხვა-და-სხვა თემთაგან წარმოგზავნილ მიმლოცველების ნახვა. რადილად შემცდარია ის, ვინც ჰეიქრობს, რომ ყველა თემის ხალხთა ერთ თემად შექმნა სასარგებლო და სასიამოვნო იყოს. რადილად შემცდარია ის, ვინც ამტკიცებს, რომ ვითომ სასარგებლო იყოს სხვა-და-სხვა თემის ერთ თემად გარდაქმნა, რომ იგინი ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. ამას ზოგიერთები მიტომ ფიქრობენ, რომ ხალხში ერთობა დაამყარონ, რომ სხვა-და-სხვა გვარტომობა ხელს არ უშლიდეს სახელმწიფოს პოლიტიკურად კეთილ-განწყობილებას. მრთი თემის ხალხის მეორე თემის ხალხთან დაახლოება და დამეგობრება მარტო ენის გავრთებას არ შეუძლია. მრთი თემის ხალხი მაშინ არიან დაახლოებულნი, დამეგობრებულნი და მტკიცედ დამოკიდებულნი ერთი ერთმანეთზე, როდესაც საზოგადო ინტერესების დაცვაში და ცხოვრებაში არავითარი გარჩევა არა აქვსთ: ერთის საზარლო მეორესიც საზარლოა, ერთის სასარგებლო მეორესთვისაც სასარგებლოა. ძაცი შექმნილია ღეთის ხატებისა და მხგავსეებისამებრ. ლეთის ჩატება და მხგავსება ყველა კაცშია, ვინც უნდა იყოს იგი — რუსია თუ ბერძენი, ფრანგია, თუ მართველი, ღვკია, თუ თათარი, შავია, თუ თეთრი. რასაკვირველია, სარწმუნოებას დიდი გავლენა აქვს კაცის ხასიათზე და მიმართულებაზე, მაგრამ ერთი სარწმუნოების ხალხნი ერთნი არიან,



ვინც უნდა იყენებდნენ და რომელ ენაზედაც უნდა ლაპარაკობდნენ იგინი. მრავალი მაგალითებია, რომ ორი სხვა-და-სხვა ქვეყნის ხალხნი, ერთ ენაზედ მოლაპარაკენი, ერთად ვერ შეთვისებულან მაშინ, როდესაც სხვა-და-სხვა თემის ხალხნი ძლიერ მეგობრულად სცხოვრებენ. როდესაც ერთი-მეორეს მტრულად უყურებენ, როდესაც ერთი თემი მეორე თემის ხალხს სჩაგრავს და თანასწორობას არ ანიჭებს, მაშინ ამ თემთა შორის, სარწმუნოებაც რომ ერთი ჰქონდესთ მათ, ენის გაერთება მტკიცე კავშირს არ დაამკვიდრებს.

მობრძანდა მიტრახპოლიტი პლატონი. მგალობლებმა დაიწყეს წმიდა მლაღიმირის შესამკობელი საგალობელი. აღვიდა კათედრაზე პროფესორი აკადემიისა ბ. მაღიშეცკი. მან მშვენიერი რეფერატი წაიკითხა მლაღიმირის ცხოვრებაზე და დაწერილებით მოუთხრა კრებას, თუ რა იყო რუსეთი კერპოთაყვანის მცემლობაში და რა შეიქმნა იგი ქრისტიანობაში. შემდეგ ამისა თავ-თავის რიგზედ აღიოდენ კათედრაზე მიტრახპოლიტები, ეპისკოპოსები და სხვა წარმომადგენელი მისალოცავად. მაყურებელნი განცვიფრებაში მოჰყავდა ზოგიერთი მღვდელ-მთაგრების მჭევრმეტყველებას, გაბედულად და დინჯად შესხმების წარმოთქმას. შველანი სიხარულით ულოცავდენ კიევის მიტრახპოლიტს რუსების ნათლის-ღების 900 წლის დღესასწაულს; ყველანი აღტაცებაში იყვნენ მოსულნი ამ შესანიშნავ ღღეს.

აქ მომაგონდა ჩვენი ქვეყანა, მრავალ გზის ტანჯული და ქრისტიანების სისხლით მორწყული, სადაც ხალხმა ექვსასი წლის წინედ მიიღო ქრისტიანობა რუსეთზე და ამ ერთმა მუჭა ერმა ამდენ წვალებას, და ამდენ ჩხუბს გაუძლო უკანასკნელ დრომდე და ასე მტკიცედ დაიკვა თავისი სარწმუნოება და ხალხოსნობა. რასაკვირველია, ღეთის შეწვენი! სწორედ რიგია, რომ ჩვენ, ქართველებმაც ვიღღესასწაულოთ 1600 წლის შესრულება მას აქედ, რაც ქრისტიანობა მივიღეთ მევის მირიანეს დროს წმ. ნინასაგან. იმედია, რომ საქართველოს სამღვდლოება და საზოგადოება მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას და მიზაძავს რუსეთს. ამისთანა შესანიშნავის დღეების დღესასწაულობაში.

ზასაოცარი იყო კიეველების გულ-გახსნილობით და აღერსით მიღება ყველა სტუმრებისა გაურჩევლად. მისაც რუსეთში არ უფლია, მას არ შეუძლია წარმოიდგინოს რუსეთის ხალხის გულ-უხეობა, სტუმრის

მოყვარეობა და მიღება. ბევრ ჩვენგანს რუსის ხალხზედ შედგენილი აქვს შეხედულება ზოგიერთი ჩვენ მორის მცხოვრებ და მოსამსახურე რუსების შეხედულებით და მიხედვით. ამისთანა პირნი ხშირად ძლიერ მოტყუებულნი რჩებიან...

ნაშუადღეის სამი საათის შესრულების შემდეგ ამ უშველებელ ზალაში სიციხისა გამო დადგომა აღარ შეიძლებოდა და იძულებულნი იყვნენ აღრესების კითხვა და შესხმების წარმოთქმა შეეჩერებიათ.

ზალიდგან ყველა საპატო პირები მიზატიყებულნი იქმნენ აკადემიის რექტორისაგან სადილზედ, სადაც დიდის სიამოვნებით ისადილეს ყველა სტუმრებმა...

დღე. დ. დამბაშიძე.

«მწუხმისი»-ს კორრესპონდენცია კოზიღბან.

მლაღიკავკავიდამ 22 ვერსის მანძილზე, სამხედრო გზის პირად მდებარეობს ერთი ვიწრო და კლდოვანი ხეობა, სადაც სცხოვრებენ 500 კომლამდე მისტები, რომელთაც ჯარიახელებს ეძახიან. ეს მისტები სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან და განიყოფებიან ოც სოფლად. ასე მცირე მეკავამურთა ოც სოფლად განაწილების მიზეზი უნდა იყოს ხეობის მთავორაკიანი მდებარეობა. თითოეულ სოფელში არის თითო მალალი ქვიტკირის ციხე, რომელსაც მტერი გარედგან ვერაფერს ვერ დააკლებს. თამარ-დღლოფლის დროს ამ ხეობის მკვიდრთა შორის მართლმადიდებელი სარწმუნოება ყოფილა გავრცელებული; ამას მოწმობენ ძველი ქვით-კირის ეკლესიები, რომლებშიაც წირვა-ლოცვა ყოფილა მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე. ღღეს ეს ეკლესიები ნახევრობით დანგრეულნი არიან და მათ გვერდით აშენებულინი არიან მეჩეთები.

ამ ხეობის ქისტებს ძალიან ცუდი ზედ-გაკლენა აქვსთ მათ მეხოხველ მართლ-მადიდებელ მოხევეებზე, რომლებიც ოც-და-ხუთ ვერსზე არიან დაშორებულნი მაჰმადიან ქისტებზე. თუმცა მოხევეები მართლ-მადი-

დებელ სარწმუნოებას აღიარებენ, მაგრამ მაჰმადიან ქრისტიანების და ოსების ზედ-გავლენისა გამო მათში მაგრად იდგამს ფეხს სხვა-და-სხვა წარმათებური ჩვეულებანი. მოხვედრებში ქორწინების და მიცვალებულის დასაფლავების დროს ბევრი ისეთი ჩვეულება სრულდება, რომელიც არ შეჭფერის მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას. მანსაკუთრებით ძობის საბლალოჩინო მაზრის მოხვედრებზე ზნეობითის მხრით დიდი გავლენა აქვსთ მაჰმადიან ქრისტებს და ოსებს. მათი დამღუბველი ზედ-გავლენისაგან დაიხსნიდა მოხვედრებს განათლებული მღვდლები და თან სამრევლო სკოლები, რომლებშიაც მოხვედრების ახალ-გაზდა ყმაწვილები შეისწავლიდნენ სარწმუნოების უსაჭიროეს სწავლა-მოძღვრებას. მაგრამ ორივე ამ საუნჯეს მოკლებულნი არიან მოხვედრები. თუმცა უმაღლესი მთავრობისაგან დიდი ხანია ნაბრძანები აქვთ ეკლესიების კრებულთ მათდამი რწმუნებულ ეკლესიებთან საეკლესიო სკოლების დაარსება და მათში მათ სამრევლოთა ახალ-გაზდობის სწავლება, მაგრამ მოხვედრებში დღემდის ერთი სკოლაც არ მოიპოვება. ღა არც ვგონებთ, რომ ან შემდგომში გაიხსნან აქ საეკლესიო სკოლები. მრთი მიტომ, რომ ყველა მღვდლები, რომელნიც აქ მსახურობენ, გაუნათლებელნი არიან და გაუნათლებელმა მღვდელმა კიდევ რომ გახსნას სკოლა, რაგამოცა, სკოლების კედლები ხომ ვერ ასწავლის ყმაწვილებს. მფორედ აქაური მღვდლები, ზოგიერთები მაინც, მუყიათად არ ეკიდებიან საქმეს, რადგან დღე-დღეობით მოელთან აქედამ სხვა სამრევლოში გადასვლას. არც ერთი აქაური მღვდელი ადგილობრითი მკვიდრი არ არის და თუ გამომწესებულა აქ, ისიც იმიტომ, რომ შემდგე თაყის სოფელში და ან მახლობლად იზოგოს კაი სამრევლო. ამის გამო აქაური მღვდლები ერთი-დებთან ადგილობრით მკვიდრთა წყენას და არხეინად უსრულდებენ სამწყსოთ ყოველივე ჩვეულებას, კიდევ რომ იგი ჩვეულება ქრისტიანობის წინააღმდეგე იყოს. «ორ დღეს თუ ვიქნები აქ და რათ ვაწყენინო ხალხს», ბრძანებენ ზოგიერთი მღვდლები. ამისთანა მღვდლები ძალიან უყვარსთ მოხვედრებს და ძალიანაც აქებენ მათ. რომ ყველა მღვდლები აქაური იყენენ, მაშინ ისინი უფრო მუყიათად მოჰკიდებდნენ საქმეს ხელს

და ხალხის წყენასაც უბრალოდ არ მოერიდებოდნენ. მს უკანასკნელი მოსახრება მომგვარათაეში ბლალოჩინის მღვდლის ბიორგი იტონიევის სასარგებლო სამსახურმა მღვდელობაში. მ. იტონიევი არის ადგილობრითი მკვიდრი; იგი შეიდი წელიწადია, რაც აქ მსახურებს მღვდლად, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაშიც ბევრი რამ გააკეთა მან ეკლესიების და ხალხის სასარგებლოდ. იგი გაბედულად ეწინააღმდეგება ყოველივე ამაოდ-მორწმუნეობას და ბევრგან თაყის მეცადინეობით დადი სარგებლობა მოუტანა როგორც ხალხს, ისე ეკლესიებს. თუმცა გაუნათლებელი ხალხი შეეღის მაგიერ, დიდ წინააღმდეგობას უწევს მას, მაგრამ ის არ უფრთხის ხალხის და მათი «დეკანოზების» მუქარას. მამა იტონიევა მალალი მთებშიდამ ჩამოასვენა ყველა ხატები, რომლებიც «დეკანოზების» შთაგონებით, ხალხს გამოუტანია ეკლესიებიდამ და სალაც მთებში დაუსვენებია. ამის გამო ხალხი უფრო გადაემტერა მ. იტონიევს და ათასნაირ საჩივრებს აგზანთან მასზე უქაღლეს მთავრობასთან. მ. იტონიევის ასეთი საქციელი იმიტომ უფრო არ მოსწონს ხალხს, რადგან უწინდელი მღვდლები ამ მხრით ხალხს არაფერს არ უშლიდნენ. ამიტომაც ამბობენ დღეს მოხვედრები: უწინდელი მღვდლები განა მღვდლები არ იყენენ, რომ არ გვიშლიდნენ ამებ-საო, მაგრამ მ. იტონიევი მტერია ჩვენო. სწორეთ ამისთანებზე არის ნათქვამი, რომ უგუნურს მწერთელი სძულსო.

საჭიროა, რომ მოხვედრებში განათლებულნი მღვდლები იქმნენ გაგზანნილნი და მასთან მათ მოვალეობად დაედგინოსთ, ყოველ ეკლესიასთან სამრევლო სკოლების დამართვა, რომ ამ სკოლებში ახალ თაობას მაინც მტკიცედ დაუნერგონ გულში და სულში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების უსაჭიროესი სწავლა, თორემ მეზობელი მაჰმადიან ქრისტების და ოსების ზედ-გავლენით მოხვედრებშიდაც ისე მოისპობა ქრისტიანობა და მართლ-მადიდებელი ეკლესიები, როგორც ამას ეხედავთ ქრისტებში.

ანდრია კობაიძე.

### ზუგდიდის მაზრიღბან.

ზუგდიდის მაზრის ერთ მიყრუებულ და მიყარდ-  
ნილს ადგილს ჩრდილოეთის მხრით, ქაეკასიონის  
მთების ძირში, მდინარე ენგურის ორივე ნაპირებზე  
მდებარეობს სოფელი ჯვარი, რომელიც ბუნებისაგან  
შემკულია მშენიერი ჰაერთ, წყლით ტყით და მშვე-  
ნიერი ნახნავ-საფესი ადგილებით. როგორც ჩრდილოე-  
თის, ისე ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით სენანეთამდის და  
ქარაჩამდის ამ სოფლის მკვიდრთა არაენა ჰყავთ  
მესობლად გარდა თოვლიანი მთებისა. 1875 წელში  
ამ სოფლის მკვიდრნი მთავრობის განკარგულებით  
გაიყო ორ საზოგადოებად. მდინარე ენგურის გაღმა  
მხარეს ეწოდა გაღმა-ჯვარი, ანუ ქალის საზოგადოე-  
ბა. ამ გაცალკეეობამ, ნაცვლად სიკეთისა, დიდი  
ზარალი მოუტანა ს. ჯვარის მკვიდრთა.

ამ ორ საზოგადოებაში ითვლება 800 კომლი.  
ამათში გარდა ათი-თუთხმეტი კომლისა ყველანი  
გლეხებია, რომელნიც მეტად გაუწათლებელნი არიან.  
ამოტენა საზოგადოებაში დღემდის არ იყო არც სა-  
სოფლო და არც სამრეელო სკოლა. ამ უსკოლო-  
ბის მიზეზია, რომ აქაურ მკვიდრთა შორის ათ კაცს  
თუ მოჰსძებნით, რომელთაც ცოტაოდენი წერა-კითხვა  
მანც იცოდენ. ღღეს ამ საზოგადოებაში ადგილო-  
ბითი ეკლესიის მეღავითნემ მღვდლის დახმარებით  
გახსნა სამრეელო სკოლა, რომელშიაც, გახსნისა  
თანავე, ოც-და-ათ ყმაწვილზე მეტი შევიდა, მაგრამ  
ერთი სამრეელო სკოლა, რასაკვირველია, ვერ დაა-  
მაყოფილებს ამოტენა საზოგადოებას, ამიტომ ფრიად  
საჭიროა, რომ გაიხსნას აქ ერთი სასოფლო სკოლაც.  
ეს ადგილი მოსახერხებელია, რომ ამ საზოგადოება-  
ში მოიპოვებოდეს ისეთი კაცი, რომელსაც გაეგებო-  
დეს სწავლის სარგებლობა და შეეგონოს სოფლებებს  
სკოლის გახსნა. მაგრამ ამისთანა კაცი მთელს საზო-  
გადოებაში არ მოიძებნება და მაზრის მოხელე პირნი  
ხომ აქ თავის დღეში არაეის უნახავს.

ჯვარის სოფელში, ერთ გაშლილ მინ-  
დორზე სდგას ერთი მშენიერი ეკლესია, რომე-

ლიც აღშენებულია წმ. ბიორგის სახელზე. ზებირ-  
გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ამ მინდორზე ალუ-  
მართავს ჯვარი წმ. ანდრია მოციქულს, რაისა გამო  
ამ სოფელს დარქმევია სახელად ჯვარი და მინდორს,  
სადაც ჯვარი ყოფილა ამართული, ჯვარ-ზენი (ზენი  
მეგრულად მინდორსაჰქვია). შემდეგში წმიდა მოცი-  
ქულთ სწორის ნინას დროს ამ ჯვარის ადგილზე  
აღუშენებიათ მშენიერი ქვითკირის ეკლესია, რო-  
მელიც დღეს, დროთა, ვითარებისა გამო დანგრეულია.  
ამ ეკლესიაში ყოფილა დასვენებული წმიდა ბიორგის  
ხატი, რომელიც დღეს ახალს ეკლესიაში ასვენა.  
ამ ხატს მცხოვრებლები უწოდებენ საკუთარს სახელს  
ჯგაკჳ—ს. სიტყვა ჯგგე უნდა იყოს შემოღებული  
სენური სიტყვის ჯგგრაჳ—საგან; ამ სიტყვას სენე-  
ბი ხშირად ხმარობენ ღვთის ევღრების დროს: «ჰა  
ჯგგრაჳ მაღლიანი!» ჯვარელები მარტო ამ ხატს  
სწირავენ შესაწირავს და მარტო მას ევეღრებიან,  
როცა რამე შესავეღრებელი აქვსთ. სხვა ხატის შეწირ-  
ვა აქაურებს არ შეუძლიათ, რადგან ფიქრობენ, რომ  
ამისათვის ჯგგაკჳ გაგვირისხდებოა.

ამ ჯვარის სოფლიდამ ძველიდგანვე გადასახლე-  
ბულან გაღმა ჯვარს, ქალის საზოგადოებაში ას ოც  
კომლზე მეტი. ამათ თუმცა თავისი საკუთარი წმ.  
ბიორგის ეკლესია აქვსთ, მაგრამ არც ერთ აქაურ  
მცხოვრებს თავის ეკლესიისათვის ერთი კაპეიკიც არ  
შეუწირავს თავის დღეში და არც შესწირავს, სანამ  
ცოცხალი იქნება, რაისა გამო გაღმა ჯვარის წმ.  
ბიორგის ეკლესია მეტად ღარიბია. გაღმე-  
ლები ამ ჯგგაკჳს ეკლესიას ყოველ წლობით სწირა-  
რევენ როგორც ზვარაკებს, ისე ფულს. თავის ეკლე-  
სიაში არ მიაქვთ შესაწირავი, რადგან მათის აზრით,  
ჯგგეეს ხატი გაუჯავრდებათ მათ. როცა რომელიმე  
მათგანს ჰქვია ხავ: რატომ თქვენს ეკლესიაში არ მიგაქვსთ  
შესაწირავიო? მოგიგებენ: «ეკლესია, მართალია, ავა-  
შენეთ, მაგრამ იმ იმედით, რომ ხან-დის-ხან მანც  
გადმოასვენებდენ ამ ეკლესიაში ჯგგაკჳს ხატს, რადგან  
ის ხატი პირველად ჩენი იყო და ჩენც იმას ევეუთნო-  
დით მაგრამ მოესტყუედითო. ბარდა ქალის საზოგა-  
დოების მკვიდრთა ზუგდიდში და სამურზაყანოში  
ორი ათას კომლს ჯგგაკჳს ხატი მიაჩნიათ ძირ ხატად,

ე. ი. მარტო ამ ხატის წინაშე მიაქვთ მათ უოკელი შესაწიხავი.

თუმცა ჯვარის ეკლესიას დიდი შესაწირავი შემოდის, მაგრამ იგი ძალიან მდიდარი არ არის; ამის მიზეზი ის არის, რომ უმეტესი ნაწილი შესაწირავისა მიდის ამ ეკლესიის სტაროსტების სასარგებლოდ, რომელნიც, ვგონებ, ერთი საუკუნე იქნება, რაც სულ ერთი და იგივე ოჯახიდან ირჩევიან.

როგორც ყოველ გაუნათლებელ ადგილების მკვიდრთა შორის, ისე აქაც გამრავლებულია მკითხავეები, რომელნიც ყოველივე უბედურებას ჭგებენ ხატს აწერენ და ყველას ურჩევენ, რომ ამ ხატს შესაწირავი მიართვან. მკითხავეებს, რასაკვირველია, კავშირი უნდა ჰქონდესთ სტაროსტებთან, რადგან პირველნი მათდამი მისულ პირთ ყოველთვის ურჩევენ, რომ ჭგებენ ხატსაც შესწირონ, მაგრამ უფრო სტაროსტების გული მოიგონ. აი რა დარბევას აძლევენ მკითხავეები ხალხს: «შვილო, ღმერთიც სულ-გრძელია და ხატიცა; მათ რათ უნდათ ბევრი ფული! ხატს მარტო ერთი ზვარაკი შესწირეთ და ჩამოდენიძე ფული. უფრო იმას ეცადეთ, რომ მებატურნი ან მათი შვილნი და შვილის-შვილნი გულ-ნაკლად არ დასტოვოთ, მათ იმდენი მიეცით, ჩამოდენიცა გთხოვონ». ამ მიზეზისა გამო ხატს რომ ხუთ მანეთამდე ეწირება, მაშინ მებატურნი იღებენ ოცს და ოც-დაათ მანეთს. ამ შემოსავლიდან ნაწილი, რასაკვირველია, მკითხავეებსაც ერგებათ. მრთი სიტყვით მკითხავეების წყალობით ხალხი მებატურებს ხატზე უფრო პატრესა სცემს. აი რა აზრისა არის ხალხი მებატურებზე: «მებატურნი ჭგებენ ჯორებია, რასაც ესენი ვტყვიან ჭგებენ, ისიც უთუოდ იმას იზამსო». ამ ეკლესიის სტაროსტებიც სარგებლობენ ხალხის გაუნათლებლობით, ხშირად დასვენებენ სოფლებში ჭგებენ ხატს და თავიანთ სასარგებლოდ ჰკრებენ ყოველ გვარ შესაწირავს. მებატურნი შემწირველთ ეუბნებიან: «წმ. ბიორგი ჯგევს ხორციელს აძლევთ და არა ჩვენო».

საჭიროა მკაცრი ყურადღება მიექცეს ამ ეკლესიის სტაროსტების ანუ მებატურთა, როგორც მათ უწოდებენ, მოქმედებას. საჭიროა, რომ სტაროსტები ირჩეოდნენ ისე, როგორც ამას მოითხოვს კონსისტო-

რიის წესდებულება. აგრეთვე საჭიროა, რომ ადგილობრივთა მღვდელმა მიაქციოს ხალხს ყურადღება და მათში მოსპოს ისეთი ამოღ-მორწმუნება, რომელიც აღარბებს აქაურებს. ამასთან საჭიროა, რომ ადგილობრივთა სასულიერო მთაფრობამ აღუქრძალოს მებატურებს ხატის სოფლად ტარება.

ჯვარელი.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

ზაზეთი «День»-ი გვაუწყებს, რომ სამს ამ სექტემბერს ნაგუზიპოველმა ვაჭარმა ივანე ლეოვის ძემ შეედოვა ასი ათასი მანეთი შესწირა სამოწყალო სახლის სასარგებლოდო.

\* \*

როგორც გვაუწყებს გაზ. «Северный Кавказ»-ი, სტაეროპოლში ყოფილა საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლების კრება. კრება გაგრძელდა ამ თვის 1—15-მდე. შეელა მასწავლებლები მთაფარ-დიაკენები და მეღავითენი ყოფილან. იგინი დილით აძლევდნ თურმე საშინჯ გაკვეთილებს და საღამოით არჩევდნ მასწავლებლისაგან მიცემული გაკვეთილის ღირსებას და ნაკლულევენებას. ბ. შ. სერგიევსკის წაუკითხავს ლექცია საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ. კრებაზე სულ 50 მასწავლებელი დასწრება.

\* \*

მალე დაარსდებიან სამრევლოებში სამრევლო რჩეები, რომელთა გარდაწყვეტილებას უნდა დაემორჩილონ სტაროსტები, როდესაც იგინი რამეს ყიდულობენ ეკლესიისათვის და ან როდესაც იგინი რაიმე ხარჯს აპრობენ ეკლესიისათვის ეკლესიის ფულებით.

\* \*

სახალხო განათლების მინისტრმა წინადადება მისცა კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველს, რომ ამ ოლქის საერო მასწავლებლებმა გამოიწერონ სინოდის გამოცემა, სახელად, «საეკლესიო უწყებანი».

\* \*

სწორეთ დასჯილი იყო შორაპნის მაზრის ხალხი ახალი უფროსის დანიშნამდე. მცირეწლიწადი იმსახურა მაზრის ძველმა უფროსმა, მაგრამ მას, თითქმის, არასფერი არ დაუტოვებია თავის მოსახსენებლად. იგი ნიადაგ ეჩხუბებოდა ხალხს და ნიადაგ სცემდა მათ, მაგრამ არც გზები კეთდებოდა და ქუჩებმა ხომ კინალამ აგვიკლეს. ძველი უფროსის ხელში ოცი წლის განმავლობაში არ ვაკეთებულა იმდენი, რაც ამ ახლის ხელში ვაკეთდა ნახევარი წლის განმავლობაში. ღაბა შეირილას მანც ძლიერ დაეტყო ახალი უფროსის დანიშნვა: ვაკეთდა ფარნები რკინის სვეტებზე, ორმო-ტბები გზებში გასწორდა და ყველგან მშენებრივი გზა-ტყეცილები კეთდება. ღმერთმან მისცეს ძალა და სიცოცხლე მაზრის ახალს უფროსს ბ. ლ. ტ. ზაყელს, რომ იგი ასე მტკიცედ და ერთგულად შესდგომია თავის მოვალეობის აღსრულებას. მოვალეა ყველა დაეხმაროს და ზეელი შეუწყოს ამისთანა ერთგულ მოსამსახურე უფროსს. შორაპნის მაზრას სახელი გაუტყებეს წინა დროის ზოგიერთმა მოსამსახურეებმა თავისი უფიცობით და უკულმართი ქცევით. მართალია, ხალხი ზნეობით ეცემა, ავაზაკობა, მტაცებლობა და სხვა მრავალ გვარი ცუდი საქმეები ფესვს იღვამს ხალხში, მაგრამ ყველა ესეები ხდება მაშინ, როდესაც მაზრის უფროსში შენიშნენ სისუსტეს, მისი მოვალეობის გაუგებლობას და უკულმართობას..

\* \* \*

სოფელ ტობანიერიდამ (მუთაისის მაზრაშია) ჩვენ გვწერენ შემდეგს: ამსოფლის მკვიდრნი დიდის ამბით დღესასწაულობდნენ ენკენისთვის პირველ დღეს, რომელსაც ეძახიან «დღე-დადექსა». ეს უბრალო დღეობა ძვირად უჯდებოდათ ტობანიელებს. მკაუთი ღარიბი გლეხი არაფერს არ ზოგავდა, ოღონდ სტუმრებს კარგად დახვდებოდა და თავის წლის სარჩო ერთს დღეს შეეკმია. დღეს ზოგიერთი პატროსანი პირების შთაგონებით სოფელს ეწრის წმიდის სამების ეკლესიის სამრევლომ დასდო ხელწერილი, რომ არავინ მათგანმა არ გაბელოს «დღე-დადექის» დღესასწაულობა და ვინც ამ დადგენილობას დაარღვევს, მან ზემოთ

აღნიშნული ეკლესიის სასარგებლოდ ათი თუმანი უნდა გადახადოს. იწებოდა ღმერთმა, რომ ტობანიერის სოფლის მკვიდრთა სანაქებო მოქმედებას სხვა სოფლებმაც მიხაძონ.

\* \* \*

მუთაისის სათავად-ახნაურო სკოლაში რალაც უკმაყოფილება ჩამოვარდა სასწავლებლის უფროსსა და ერთ მასწავლებელს შორის. ამ საქმემ იქნადის მიღწეა, რომ საქირო შეიქმნა ამ უკმაყოფილების მიზეზთა შესატყობათ რევიზორები დანიშნათ და კიდევაც დანიშნეს ერთი ექიმი, მეორე ვეპილი და მესამე მწერალი, რომლებმაც გამოიძიეს, გამოიკლიეს საქმე და ჯერ-ჯერობით ინსპექტორი სასწავლებლისა და ერთი მასწავლებელი ს. ხუნდაძე დაითხოვეს თანამდებობიდან. მის დაითხოვენ შემდეგში, ჯერეთ არავინ იცის. ინსპექტორობის თანამდებობა მიუხდევით დროებითად გიმნაზიის მასწავლებლის ბ. ს. ბ. ლოლაბერიძისათვის.

\* \* \*

მ. მუთაისში ორი ახალი საეკლესიო-სამრევლო სკოლა დაარსდა: ერთი სტრუიციის ეკლესიასთან მღვ. მ. შავლაძისაგან და მეორე მუთაისის მახლობლადვე.

\* \* \*

ღღმდის ყველას ნება ჰქონდა გაეხსნა კერძო სასწავლებელი როგორც ვაჭებისა, ისე ქალებისა. დღეს ამ საქმის შესახებ სხვა წესები უნდათ შემოიღონ-ამის შემდეგ ამ გვარი სასწავლებლების გახსნის ნება მიეცემათ მხოლოდ მათ, ვინც ღირსნი არიან დარომელთაც დიდხანს უმსახურნიათ მასწავლებლად. სწორეთ საქიროც იყო ამისთანა წესის შემოღება. დღეს უფლის მოვისათვის ისეთი კაცები იღებენ ნებას სასწავლებლის გახსნისას, რომელნიც სრულებით არ არიან მომზადებულნი სამასწავლებლოდ, თუმცა მოწმობები კი უშოვიათ, რომ მათ შეუძლიანთ მასწავლებლობა.

\* \* \*

მაზ. «ივერიაში» ეკითხულობთ შემდეგ ამბავს: რადგანაც თბილისის სემინარიაში უოკელ წელაიწადს მატულაბს მოსწავლეთა რიცხვი, მთავრობა იმუღებულაია გამართოს მარადეულა კლასები იმ კლასებშია, სადაც ჯერ-ჯერობით გამართული არ არის. ამიტომ წკლს სამდგულაების კრებამ გადასწევითა შენობა მოემატებინათ. გეგმის შედგენა დაავალეს სემინარიის მმართველობას, რომელმაც, როგორც

შევიტყუეთ, უკვე შესწრულა ეს მინდობილება და ვიდრე წარუდგინა მას ყოვლად-მაღალ უსამღვდელოესობას ექსტრასოს დასამტკიცებლად, როგორც ამ ბობენ, ეს საქმე აქვე გადასუდება და უწმიდესს სინოდს არ წარუდგებენ დასამტკიცებლად, რადგანაც ხარჯი ადგილობრივმა სამღვდელოებამ იკისროს. ეს შენობა უნდა აშენდეს დასკლეთის მხარეს, ღვთისმეტყველების ქუჩისაკენ და ზედ მიედგმის მ. რექტორისა და ინჟინტორის სადგომებს, ახალი სადგომი სამსახურთუღისი იქნება და შენობას დაიწყებენ მომავლის წლის მაკტში. ეს შენობა, როგორც ეტყობა, ძალიან დაამატარებებს სემინარიის ეზოს. კარგი იქნებოდა, სამღვდელოებს ცოტათი წინდასვდულობა გამოეჩინა და გვერდზე რომ სასელმწიფო შენობებია, ის შეეძინა, თუ მოსასურებელი იქნებოდა. სამწუხაროდ, არც ერთს დეპუტატს ეს აზრი თავშია ან მოსკლია და ჩამოგონებელიც ანაჟინ გამოხსენია.

ძალიან გაკვირვებული ვართ, რომ «ივერია» თავის დროზე ვერ ტყობილობს ხოლმე იმას, რაც ხდება იქვე რედაქციის გვერდით. სამღვდელოების ყრილობაზე თებერვალში მომხდარს ამბავს დღეს მოუთხრობს მკითხველებს. ამასთან გაზეთი უსაყვედურებს დეპუტატებს, რომ მათ არ აღძრეს კითხვა სახელმწიფო სახლის შესყიდვას, რომელიც სემინარიის გვერდით არის. სწუხს აგრეთვე გაზეთი იმაზე, რომ ამ კეთილი აზრის ჩამგონებელი სამღვდელოებას არაგინ გამოუჩნდა და ის კი არ იცინა, რომ სამღვდელოებამ ამ საგნის შესახებ ბევრი იფიქრა, ბევრი ილაპარაკა და ბევრი მოსაზრება წარმოსთქვა.

ჩვენ გცნაყვედურებიან ზოგიერთები, რომ ახალ ამბებს ისე ბლომათ არა ვებეჭდეთ ჩვენს გაზეთში, როგორც საერო ჟურნალ-გაზეთები ბეჭდავენ ხოლმე. ჩვენ ძლიერ ვცრიდებით იმისთანა ამბების ბეჭდავას, რომელნიც სრულებით საინტერესონი არ არიან. ზოგიერთების დასაკმაყოფილებლად ჩვენ დღეიდგან გადმოვებეჭდეთ ხოლმე საერო გაზეთებიდგან ზოგიერთ ახალ ამბებს და მკითხველებისათვის მივიწოდებთ მათი შინაარსის დაფასება.

საერო გაზეთების ახალი ამბები და შენიშვნები.

ერთს ადგილს, მთა-წმიდაში, გზაზედ ერთ ჩარექზედ დაიწია შიწამ.

მუშტაიღში მიმავალი «კონკიდგან» ერთმა პასაჟირმა, გადმოხტომის დროს, ფეხი წაჭკრა ქვას, მაგრამ არ წაქცეულა და მშვიდობიანად წავიდა.

კუკის ხიდზედ ორ კაცს ჩხუბი მოუვიდათ და ერთი ერთ-მანეთი ვალანძლეს. ლაპარაკზე წამოესწრო «გოროდოვოი» და გააშველა.

ჩვენ რედაქციას სწერენ კავთის-ხევიდამ, რომ იქ ვაი პერის მოსავალს ელიან, თუ კარგი ამიდები დაუდგა.

გუშინ წინ ერთ-ბაშად მტკვარმა მოიმატა, ასე რომ რიყზე სახლების ძირა სართულში წყალი ჩავიდა. ამ წყლის მოდივების მიზეზი უნდა იყოს, რედაქციის აზრით, დიდი წვიმის მოსვლა ზემო ქართლისაკენ. (აფერუმ, ძალიან გამოუცვნიათ!)

ჩვენ რედაქციას სწერენ, რომ კრისში წასულა ბისმარკთანო, ჩვენის აზრით, პოლიტიკაზე ექნებათ მათ ზანსი.

სურათებით «ვეფხვისტყაოსნის» გამოცემა ცოტაღადარჩა.

ჩვენ რედაქციას მოუვიდა ამბავი, რომ ქ. თბილისის მეორე განყოფილებაში ორ სპარსეთის ქვეშევრდომთ ჩხუბი მოუვიდათ და ერთმა მეორე კაღმის დანით დასჭრა. ერთი მათგანი პოლიციაში წაიყვანეს და მეორე საავად-მყოფოში.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ქვაბთახევის მონასტერში, რომელიც მდებარეობს გორის მაზრის სოფლების ახალ-ქალაქის და კავთხევის მანლობლად ამ წლის შემოდგომიდან იხსნება დიაბოქობის თანამდებობაზედ მოსამზადებელი სკოლა. ამასვედ მივიდეთ კიდეცა 20-ს წარსულს ივლისს ნებართვა და დოკვა-კურთხევა მისის მადლა-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის არქიეპისკოპოსის პაფლადისაგან. მიზანი ამ სკოლის გახსნისა არის მომზადება დიაბოქის თანამდებობაზედ იმ სასულიერო წოდების პირთა, რომელთაც არა აქვთ დონისძიება სწავლის მიღებისა, ანუ ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში სწავლის შესრულებისა, და რომელთაც თუმცა სწავლა შეუსრულებიათ სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ ვერ გადასულან სასულიერო სემინარიაში, და უცოდინარობისა გამო ქართულის ეკლესიურის კითხვისა, გაფლობისა, ტიბიკონისა და სხ.

კერ განწესებულან დიპლომა, რომ მით მაინც ექონიონ დღიური ლეგა. ამ სკოლაში მოწაფე-ნი შეისწავდიან გალობასა ქართლ-კახეთის—კარბელიძის კოლოზედ, გარკვევით და უველა-სათვის გასაგონლად კითხვასა სადმთო მსახურე-ბის წიგნებისას, ეკლესიურს ტიბიკონსა, კატე-ხიზმოსა, ისტორიასა და სხვათა საგანთა, საჭი-როთა დიპლომის მოვალეობის აღსრულებისა-თვის. პროგრამა საგნებისა, როგორც მოხსენე-ბული მაქვს ჩემს რაპორტშიდაც, რომელითაც ვსთხოვე საქართველოს ექსარხოსსა ნება-რთვა აღნიშნულის სკოლის გახსნაზედ, შესდგება და წარუდგება მის მადალ-ყოფილად უსამდვდელოე-სობას დასამტკიცებლად მაშინ, როდესაც შეიკ-რიბებიან მოწაფენი და ვიმოვინი მათთვის ერთსა ანუ ორსა მასწავლებელსა, მოწაფეთა რიცხვთა და სამუადებისა დაგვარად. ეს კეთილი და სა-სარგებლო საქმე უნდა დაწყებელიყო სამადლოდ და უფასოდ მონასტრის ხარჯზედ, მაგრამ, ჩვენ-და სამწუხაროდ, ქვათახევის მონასტერს არა აქვს ნივთიერი სამუადება და არა ჰქვავს ისრეთნი ბერნი, რომელთაც შეეძლოთ ტვირთვა მოწაფეთა სწავლისა. ამისათვის პირველს შემ-თხვევაში, ვიდრემდისინ აღმოვაჩენდე სხვა სამუ-ადებასა და წყაროსამ სკოლის არსებობისათვის, მოწაფენი გადაიხდიან თვეში ექვს მანკოს ფულად მასწავლებლის დასაქირავებლად და მონასტერში საზრდოებისათვის.

ვაცხადებ რა ამას, ვსთხოვ, ვისაც სურს ამ სკოლაში სწავლის მიღება, ჯერ მაცნობოს კერ-ძო წერილით: 1) ვისი შვილია, 2) რამ-დენის წლისაა, 3) სად უსწავლია და რომელი კლასიდან არის გამოსული, და თუ არსად არ უსწავლია, ეკლესიური წიგნების კითხვა, ცოტაო-დენი მაინც არის, იცის თუ არა, 4) სადა სცნოვ-რებს და რომელის ფოსტის ადგილით ანუ ბლა-დოჩინით მიეწეროს ჩემგან პასუხი. როდესაც მე-ცოდინება რიცხვი მსურველთა, იმის და გვარად მეც დავაპზადებ მონასტერში სკოლისა და ბი-ნისათვის ოთახებსა, მასწავლებელსაც ვიმოვინი, და მსურველთ წერილით ვაცნობებ დროსა მო-ნასტერში გამოცხადებისას. წერილი გამოიგ-

ზავნება ჩემთან ამ ადრესით; Въ Тифлисъ, Члену Грузино-Имеретинской Синодальной Конторы, Архи-мандриту Николаю, თბილისში, ნიკოლაოზს.

მ. მ. ბლადოჩინებს ვსთხოვ, ეს განცხადება აცნობონ იმ კრებულთაცა, რომელთაც არ მის-დით ქურნალი «მწუქმსი».

საქათველო იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრი და წინამძღვარი ქვათახევის მო-ნასტრისა, ანსიმონდრატი ნიკოლაოზ.

შეირილის კერძო სასწავლებელი ამით აცხადებს, რომ სწავლა ამ სასწავლებელში დაიწყო 1 სექტემ-ბრიდამ.

მიზანი ამ სკოლისა, როგორცაქამდე, ისე შემ-დეგშიაც ის იქნება, რომ მოამზადოს ბავშვები ყოველ გვარი სასწავლებლისათვის: გიმნაზისათვის, სასუ-ლიერო და სამოქალაქო სასწავლებლისათვის და სხვა ყოველ გვარი სკოლებისათვის. შევლავედ უფრო მი-ვაქცევთ სამღვდლოების ყურადღებას, რადგანაც მათთვის აუცილებლად საჭიროა ბავშვების მომზადება მოსამზადებელი განყოფილებების დასურვისა გამო სასულიერო სასწავლებელში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ არ ჩავარდებით ყმაწვილების დედ-მამის საყვე-დურში, რადგანაც ჩვენი თავი გამოცხადეთ და და-ეინახეთ საკმაოდ ძალ-ღონე და ნიჭი, როგორც თვი-თონ მ. სახალხო სკოლების დირექტორმა დაათვა ჩვენი შრომა და სინილისიანად საქმის წაყვანა. ამას-თანავე დიდს იმედს და შემწეობას ეხედავთ კარგად საქმის წაყვანისათვის, რადგანაც სადმთო სჯულის გაკეთილების მიცემა ისურვა მისმა მაღალ ღირსებამ მ. დეკ. ზავით ღამბაშიძემ.

სასწავლო ქირა შევამცირეთ, რადგანაც წარსულ წელში სკოლის რამოდენიმე ნივთები შევიძინეთ და თავისუფალი ვაგხდით; თვეში თითო ბავშვზე იქნება ორი მანეთი და ათი თეთის ანგარიშით 20 მ.

სკოლის დამააწესებელი რაფეელ ჩხილაძე.

# ისუიდაზიან

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში: ბრიჭუროვის, ჩარკვიანის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, შუთასში: ძმ. შილაძეების წიგნის მაღაზიაში, შვირლიაში: თვით გამოცემელთან და ხონში: წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

## საქართველოს საეკლესიო

ისტორია,

ფასი ყლით—ცხრა შაური

## ქართული ლოცვანი

თავგადასარგებლოდ, ქორიკონით და მართლ-მადიდებელი ეკლესიის უმათავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით.

ფასი უყლით 30 კ. და ყლით 45 კ.

## ახალი გარდაღანი

ფასი ერთი მანეთი.

ეს წიგნი განხილული და ნება დართულია კავკასიის საეპიკოპოსოსის რევიზიისაგან

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

## სახელმძღვანელო წიგნი

ფასი ყლით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კანონისტორიათა

## წესდებულებანი

ფასი ყლით—50 კ. და უყლით 40 კ.

# მცხეთის ტაძარი

## წმიდა ნინო,

ქართველი განმანათლებელი სურათებით ფასი 25 კ.

## გაენათის მონასტერი

და ცხოვრების ადწერა მეფის

## დავით აღმაშენებლისა.

ფასი ექვსი შაური.

სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის

და სახალხო საკითხავი წიგნაკები:

- მასილი დიდი, სურათით—ფასი . . . . . 2 კ.
- მირკმა უშლისა, „ „ . . . . . 2—
- დიდ-მარხვის წინ, „ „ . . . . . 2—
- ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით . . . . . 2—
- ბზომა სურათით . . . . . 2—
- ალგომა სურათით . . . . . 2—
- პანტაფელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . . . . . 2—
- მამუ სოლომონ ბრძენი, სურათით . . . . . 5—
- ცხოვრების ადწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთაჰრის მლაღიპირისა . . . . . 2—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუნისა, მას მანეთზე დაეთმობა სამი შაური. ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის თოსტის გასაგზავნს არ იხდის.

რედაქციაში იმეუნებთან ყველა ნომრები 1887 წლის (მწყემსი)-სა ყლით 4 მ. და რუსული გამოცემა ყლით 3 მ.

შინაარსი: მოგზაურობა ხელმწიფე იმპერატორისა და მისი უაგვესტოესის სახლობისა.—მღვდლის სამსახურისადმი მოწოდებაზე.—ვიდეო ჩვენი მოგზაურობის შენიშვნები.—(მწყემსი)-ს კორრესპონდენციები.—ამბები და შენიშვნები.—გასართობი.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დოქ. დ. დამბაშიძე. Доз. цензурою Кузнецовъ, 29 Сентября 1888 г.

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.